ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N2

ქ. ზუგდიდი **10 თებერვალი 2023 წელი**

2023 წლის 10 თეევერვალს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე- მაია გაწერელია.

სხდომას ესწრებოდნენ: კახაბერ ჩანგელია, მერაბ ჭაჭუა, პაატა ადამია, ხათუნა შამუგია, მირანდა ესებუა, დავით ფიფია, ეკატერინე კიფაია, თამუნა ჯიქია, ნატალია შეროზია, კონსტანტინე უბერი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: გიგა ფარულავა, გიორგი ფიფია, ნანა ხუფაცარია, ირუზა კაკავა, ედიტა კოდუა.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსი - ნინო სხულუხია, მერიის ჯანდაცვის განყოფილების უფროსი - სალომე ჩანგელია.

სხდომას მდივნობდა: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნანა კეიდია.

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია. სხდომას 16 წევრიდან ესწრებოდა 11 წევრი.

სხდომის თავმჯდომარემ მაია გაწერელიამ კომისიის წევრებს სხდომის გააცნო

დღის წესრიგი:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე;

მომხსენებელი: მაია გაწერელია - ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

თანამომხსენებელი: ნინო სხულუხია -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს დღის წესრიგს. კომისიის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალიწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის

მაია გაწერელიას ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 9 თებერვალს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოვიდა მომართვა (რეგ. N12-252304011-25; 09.02.2023; N 24-2423040132), რომლითაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის განხორიელების წესის დამტკიცების თაობაზე“.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ სააკითხთა სამსახურის უფროსს ნინო სხულუხიას მოეხსენებინა იმ ცვილებების შესახებ, რომელიც დადგენილების პროექტშია.

ნინო სხულუხიამ განმარტა, რომ აუტიზმს სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვების აბილიტაციის პროგრამას დაემატა 10 ბავშვი და საერთო რაოდენობა შეადგენს 115-ს. სანამ აღნიშინული დადგენილება არ შევა ძალაში, ბავშვები ვერ შეძლებენ პროგრამით სარგებლობას, ამიტომ დადგენილების მიღება მოკლე ვადაშია მიზანშეწონილი.

აღსანიშნევია, რომ ტენდერი გამოცხადებულია ფარისებრი ჯირკვლის სკრინინგის პროგრამით გათვალისწინებული კვლევების მომსახურების გაწევაზე.

რაც შეეხება საკრებულოს ფრაქციების ინიციატივებს: პირველი - ონკოპაციენტებისათვის დამატებითი კვლევის დაფინანსება. მერიის შესაბამისმა სამსახურმა გაიარა კონსულტაციები ონკოჰემატოლოგებთან. გაირკვა , რომ მომსახურების ღირებულება შეადგენს 210 ლარს, რაც მოიცავს ექიმის კონსულტაციას და თავად კვლევის პროცედურას. უახლოეს მომავალში სპეციალისტებთან კოორდინაციით მერია შემოგთავაზებთ დეტალურად აღნიშნული საკითხის შესახებ. მეორე ინიციატივა- სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების ბავშებისათვის უცხო ენის შესწავლელ პროგრამაში სამშვილიანი ოჯახების ჩართვასთან დაკავშირებით. სოციალურმა სააგენტომ მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ სულ რეგისტრირებილია 843 ოჯახი. ამ პროგრამით მოსარებლეთა რაოდენობა შეადგენს 242 ოჯახს. (აღსანიშნავია, რომ პროგრამით სარგებლობენ ზუგდიდდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ადგილობრივი და დევნილი ოჯახების შვილები). ამ ეტაპისათვის უკვე გამოვლენილია გამარჯვებული და პროგრამა ამოქმედებულია. მოლოდი იყო, რომ ტენდერში გაიმარჯვებდა „ათინათი“, „გაენათი“ „Callan” ის ფილიალია ან რომელიმე ცნობილი კომპანია, მაგრამ გამოვლინდა სრულიად ახალი მომწოდებელი, რომელიც აკმაყოფილებს კრიტერიუმებს. ცენტრს ჰყავს სერტიფიცირებული და გამოცდილი მასწავლებლები. მერია, თავის მხრივ, მაქსიმალურად იქნება ორიენტირებული ხარისხიანი მომსახურების მიღებაზე.

ნინო სხულუხიამ კომისიას მოახსენა ახალი ინიციატივის შესახებ: მერიაში არსებობს ქალთა ოთახი, რომელიც რამდენიმე მიმართულებით მუშაობს. კვლევებმა და გამოცდილებამ აჩვენა საჭიროება, რომ ყოველთვიურად მოეწყოს „მშობლის საათი“, სადაც მშობლებს შესაძლებლობა ექნებათ მშობლებთან შემხებლობაში მყოფი ყველა უწყების წარმომადგენლებთან ურთიერთობისა და დისკუსიის. პირველ რიგში, შესაძლოა, ჩვენი ბენეფიციარები მოვიაზროთ. თუმცა პარალელურად დავიწყებთ ფართომასშტაბიან საინფორმაციო კამპანიას საბავშვო ბაღის პედაგოგებთან და მშობლებთან, რათა ბენეფიციარებმა მუნიციპალიტეტში არსებული ყველა სერვისით დროულად და ხარისხიანად ისარგებლონ.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებების აღნიშნული დადგენილიების პროექტის შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი - დადგენილების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ დააყენა კენჭისყრაზე. (მომხრე 11. წინააღმდეგი-0);

გადაწყვიტეს: დასკვნა დადგენილების პროექტზე „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილულ იქნა. სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მაია გაწერელია: